



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 15  
24/03/2020

15-09-4-202003241926



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №17  
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების  
მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის  
თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20  
მუხლის მე-4 პუნქტის, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2017 წლის 22 დეკემბრის №17 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის  
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების  
შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03/01/2018; 010250050.35.163.016369).

1. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლი  
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები**

საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული ძირითადი  
ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად მერიის ეკონომიკისა და ქონების  
მართვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული  
უძრავი/მოძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა

წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების რეგისტრაციას;

ბ) უზრუნველყოფს „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტის მიმართ დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებას;

გ) ამზადებს წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის, ინვესტირებთან თანამშრომლობის, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე;

დ) ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) უზრუნველყოფს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების და სხვა დოკუმენტების მომზადებას;

ვ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის ორგანიზებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სხვა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან.

**2. დადგენილებით დამტკიცებულ „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი შემდეგი შინაარსით:**

„1<sup>1</sup>. უზრუნველყოფს „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტის მიმართ დაკისრებული ქვემოთჩამოთვლილი ვალდებულებების განხორციელებას;

ა) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემის ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობის გაცემა;

ბ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 4<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენა;

გ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 4<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომლის წევრთა მიერ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტის დადასტურება;

დ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრა.“.

**2. დადგენილებით დამტკიცებულ „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1<sup>2</sup> პუნქტი შემდეგი შინაარსით:**

„1<sup>2</sup>. ამ მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილ/პასუხისმგებელ საჯარო მოხელე(ებ)ს განსაზღვრავს მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

**მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.**

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

